# ცნობის ფურცელი

№ 1969 | ოთხშაბათი, 30 ოკტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1969

**ხელის მოწერის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.



# 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისათვის და ერთ თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხ ე ლ ი ს - მ ო წ ე რ ა  მ ი ი ღ ე ბ ა:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (იგივე ქარვასლა). **ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან. **ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში. **ბაქოში:** ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ). **შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან. **განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ), **გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

„ი ვ ე რ ი ა“

ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверіа“ (5—5)

მეხუთე ნაწილში, სიონის და ირაკლიევის ქუჩის კუთხეში, ჩითახოვის ნასახლარში

# გაიღო ახალი აფთიაქი
# ვ. კ. პრეისბერგისა

(3—2) ტელეფონი № 509.

წარმოდგენა 10. ტელეფონი 617

# ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

# პედაგოგები

კომედია 3 მოქმ. ოტტო ერნსტისა, თარგმ. დ. ნახუცრიშვილის მიერ.

II

## ზოგი ჭირი მარგებელია

ფარსი 3 მოქმ., რუსულიდან გადმოკეთებული.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, როსტომიანი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, ლანდი და სხვ.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კ-დან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ-დე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები 60 კაპ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად „მუშაკი და ნებიერი“, „ხალხის მტერი“, „დენიზა“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ,

ბ-ნ ბონაჩიჩის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

# პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმედ. და 7 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი არციბაშევისა, გაშინსკისა, სკორუპსკისა, დობრჟანსკისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, გრადოვი, სუნცოვი, პეტროვი და სხვანი.

ხვალ, ხუთშაბათს „ტფ. კრუჟოკ“-ში წარმოდგენილი იქნება „დემონი“.

**კაპელმეისტერი** ლ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. ფასები დაკლებულია.

პარასკევს, 1 ნოემბერს ბენეფისი პ. ი. პოლუიანოვისა; წარმოდგ. იქნება „ევგენი ონეგინი“. მოკლე ხანში დაიწყება წარმოდგენები ქ-ნ მ. ნ. ინსაროვის მონაწილეობით.

მთავარი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—34)

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წ—.)

# ტფილისის
# კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ბ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ჰ. მ. ელიოზოვიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**პრ. მ. ხოზოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიძისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ე ქ ი მ ი

# ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

# მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ე ქ ი მ ი

# ვ. ს. მუსხელაშვილი

შიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).


## სახალხო კითხვათა საზოგადოება

—

დღემდის სახალხო კითხვათა ტფილისის კომისია არსებობდა და მოქმედებდა ნახევრად—ოფიციალურად: კითხვების გამართვის ნება აღებული ჰქონდა ერთ კაცს, რომელსაც თავისი უფლებანი გადაცემული ჰქონდა კომისიისათვის; ეს კომისია, მთავრობის ნებართვით, რასაკვირველია, აწარმოებდა საქმეს, მაგრამ პასუხის მგებელი ის ერთი პირი იყო. დღეიდან ეს წესი იცვლება: 21 წარსულს სექტემბერს სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა „ტფილისისა და ტფილისის გუბერნიაში სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოების“ წესდება და ამ რიგად ოფიციალურად დააკანონა ხსენებული კომისია.

ჩვენ ხელთა გვაქვს ახლად დამტკიცებული წესდება, რომლის შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე შენიშვნა გამოვსთქვათ. სახალხო კითხვების გამართვა ისეთი თვალსაჩინო საქმეა, რომ მისი სვე-ბედით დაინტერესებული უნდა იყოს მთელი საზოგადოება, ნამეტურ ისეთ მომენტში, როდესაც საქმე ახალ კალაპოტში სდგება.

ჩვენთვის საყურადღებოა პირველი ოთხი და მე-11 მუხლი ახალის წესდებისა, მით უმეტეს, რომ დანარჩენი მუხლები შეეხებიან საზოგადოების მართვა-გამგეობის საქმეს და ამ მხრით ახალი წესდება თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა საქველ-მოქმედო ან განმანათლებელ საზოგადოებათა წესდებისაგან.

ახალ წესდების 1-ლი მუხლი გვამცნობს, რომ სახალხო კითხვათა გამართვის საქმე საზოგადოებამ უნდა აწარმოვოს არა მარტო ტფილისში, როგორც დღემდის იყო, არამედ მთელს გუბერნიაშიაც, იმ განსხვავებით, რომ ტფილისში თვით წარუძღვება ამ საქმეს, გუბერნიაში-კი ხელს მოუმართავს კითხვების მოწყობას წიგნებისა, სურათებისა თუ სხვა საჭირო საგნების მიწოდებით (§ 3). საზოგადოების საგანია (§ 2)—„ხალხში სარწმუნოებრივ-ზნეობრივისა და პატრიოტულ გრძნობათა განვითარება, აგრეთვე მიწოდება საზოგადო სწავლისა და საჭირო ცნობებისა ცოდნის ყველა დარგებიდან“. ამ საგნის განსახორციელებლად საზოგადოება ჰმართავს კითხვებს კვირასა და დღესასწაულ დღეებში (§ 3) შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო კითხვათა მუდმივ კომისიისაგან, ხან-და-ხან-კი სახალხო სასწავლებელთა დირექციისაგან ნება დართულ წიგნების შემწეობით (§ 11). საზოგადოება შესდგება ორთავე სქესის პირთაგან ქრისტეს სარწმუნოებისა (§ 4).

აი უმთავრესი მუხლები ახალის წესდებისა, რომელნიც განსაზღვრენ საზოგადოების მოქმედებასა და შედგენილობას. უნდა აღვიაროთ, რომ ეს მუხლები შესამჩნევად ავიწროებენ და მეტად ზღუდავენ საზოგადოებას. ეს ნათლად მტკიცდება, თუ მხედველობაში გვექნება ის განსაკუთრებული პირობანი, რომლებშიაც უნდა იმუშაოს ახალმა საზოგადოებამ.

მართლაც, მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ საზოგადოების საქმეა კითხვების მართვა ტფილისში და ამ კითხვების მოწყობის დახმარება ტფილისის გუბერნიაში. ტფილისში და უმთავრესად ტფ. გუბერნიაში ხალხის დიდმა უმრავლესობამ მხოლოდ ადგილობრივი ენა იცის. თუ ვისმეს უნდა სწავლისა და სხვა-და-სხვა ცოდნის მიწოდება, სწორედ ამ უმრავლესობას უნდა. მაგრამ ძნელი გასაგებია, როგორ უნდა გაუმართონ ამ ხალხს კითხვები მე-11 §-ში აღნიშნულ წიგნებით?! ეს წიგნები შედგენილია რუსულს ენაზე, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას არ ესმის; მაშასადამე საზოგადოების მოქმედების ასპარეზი მეტად შეზღუდულია, რადგან ძალა-უნებურად ხალხის დიდ უმრავლესობას ასცდება საზოგადოების სასარგებლო გავლენა. საინტერესოა ვიცოდეთ, სცადეს თუ არა წესდების შემდგენლებმა ამ საგნის შესახებ სხვა წესის შემოღება, თუ ჩვეულებრივად გადასწერეს სხვისი წესდება იმის შიშით და ხშირად უსაფუძვლო წინაგრძნობით, ვითომ ახალ რასმეს, შეცვლილ და განსხვავებულს წესდებას არ დაგვიმტკიცებენო?! რამდენადაც გვახსოვს, პირველად, როდესაც განიზრახეს წესდების შედგენა, კომისიას აზრადა ჰქონდა ეთხოვა მთავრობისათვის ადგილობრივ ენებზე კითხვების გამართვის ნება. შეასრულეს ეს განზრახვა თუ არა? ჩვენ არ ვამბობთ ფორმალურ შესრულებაზე: თუ კომისიამ მხოლოდ ჩასწერა წესდების პროექტში შესაფერი მუხლი და არ ეცადა მის განხორციელებას, ამგვარ ცდას, რასაკვირველია, მნიშვნელობა არ ექნებოდა. საქმეს სხვა-და-სხვა გზით უნდა მიშველებოდნენ. მაგალითად, იმავე მე-11 §-ში განმარტებულია, რომ ლექტორს ზეპირადაც შეუძლია გადასცეს ხალხს წიგნის შინაარსი; აი აქ შეიძლებოდა აღენიშნათ, რომ ზეპირგადაცემა ხალხისათვის გასაგებ ენაზე უნდა იყოსო. ამასთანავე ამ საგნის შესახებ მთავრობისათვის უთუოდ განსაკუთრებული, ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება უნდა წარედგინათ. ერთის სიტყვით, ეს მხარე წესდებისა მთავარ საქმედ უნდა მიეჩნია კომისიას, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული საზოგადოების მომავალი გამარჯვებითი მოქმედება. თუ საზოგადოების სასარგებლო მოღვაწეობა ამით ჩაივლის ხალხის უმრავლესობისათვის, რაღა მნიშვნელობა ექმნება მის არსებობას?!

მივაქცევთ საზოგადოების წევრების ყურადღებას ამ გარემოებას იმ იმედით, რომ შესაძლებელია შემდეგში მაინც გასწორდეს საქმე ახალის შუამდგომლობის აღძვრითა და ახალის ენერგიულის მეცადინეობით.

არა ნაკლებ უხერხულად მიგვაჩნია წესდების მოთხოვნა, რომ წევრები მხოლოდ ქრისტიანები უნდა იყვნენო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მუხლი, რუსები რომ იტყვიან, „недоразумѣніе“-ს ნაყოფია. შიდა რუსეთში ეს მუხლი შეტანილია წესდებაში ებრაელთა რიცხვის შესამცირებლად. ჩვენში-კი არა ქრისტიანები მარტო ებრაელნი-კი არ არიან, არამედ მაჰმადიანნიც. როგორც იცით, ტფილისსა და ტფ. გუბერნიაში მრავალი ათასი მაჰმადიანია, რომელნიც უმეცრების წყვდიადით არიან მოცულნი; ამათთვის ცოდნათა მიწოდება აუცილებელი საჭიროებაა და ვის უფრო მოეხერხება ეს საქმე, თუ არა იმავე მაჰმადიანთა უფრო შეგნებულს ნაწილს? ახალი წესდება-კი გარედ სტოვებს მაჰმადიანთ! ჩვენ გვგონია, რომ ეს აკრძალვა წესდების შემდგენელთა დაუდევრობის წყალობით მოხდა: მათ გადასწერეს სხვისი წესდება და არ

ეცადნენ განსაკუთრებული განმარტება წარუდგინათ სადაც ჯერ არს; ასე რომ მოქცეულიყვნენ, ჩვენ თითქმის დარწმუნებულნი ვართ, წესდების მე-4 მუხლი სულ სხვა რედაქციით იქნებოდა დამტკიცებული.

საზოგადოების საგნის ასრულებლად, როგორც ვსთქვით, ნებადართულია კითხვების გამართვა; სხვა საშუალება წესდებიდან გამორიცხულია. ხალხში ზნეობრივ და გონებრივ გრძნობა-ცოდნათა გავრცელება კითხვათა გარდა სხვაფრივადაც, მაგალითად თეატრის შემწეობითაც, შეიძლება. ეს კარგად ესმოდა კითხვათა კომისიას და კითხვებთან ერთად წარმოდგენებიც ჰქონდა გაჩაღებული. ქართულ და სომხურ სახალხო წარმოდგენების გამართვით კომისია, ცოტა არ იყოს, ასწორებდა იმ ცალმხრივობას, რომელიც თან ზდევდა კითხვათა საქმეს, რადგანაც ეს საქმე რუსულს ენაზე სწარმოებდა. არც ეს განსაკუთრებული გარემოება განუმარტავთ წესდების ავტორთ და ამიტომაც ახალის წესდებიდან გამორიცხულია სახალხო წარმოდგენები, როგორც ღონისძიება ხალხის ზნეობრივად დ გონებრივ განვითარებისათვის.

ჩვენმიერ აღნუსხული ნაკლულევანებანი, ჩვენის აზრით, თვალსაჩინონი არიან და უკარგავენ მნიშვნელობას მომავალ საზოგადოებას. საქმე ის-კი არ იყო, რაიმე წესდება ეშოვათ, არამედ ის, რომ საზოგადოების მოქმედება შეეფარდებინათ ადგილობრივ განსაკუთრებულ გარემოებათათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ვერ იხეირებს და ჩვენებურ დაწესებულებათ კიდევ ერთი მკვდარი საზოგადოება მიემატება. გვეტყვიან, სხვაგვარ წესდების მიღება შეუძლებელიაო; მაგრამ აგვიხსნან, სცადეს განა ან თუ სცადეს როგორ და რა ღონისძიებათა მიღებით? წარადგინეს დასაბუთებული მოხსენება და განმარტება იმ განსაკუთრებულ პირობებისა, რომელნიც ჩვენ აღვნიშნეთ თუ არა? შესაძლებელია, წესდების ინიციატორებმა კარგი წესდების პროექტი წარადგინეს პირველად; მაგრამ სამინისტრომ, როგორც ყოველთვის, ახლაც უკანვე დააბრუნა პროექტი და თან სხვა, უკვე არსებულ ამგვარ საზოგადოებათა წესდება, გამოუგზავნა; ამ გარემოებას წესდების შემდგენელნი არ უნდა დაეფრთხო: სამინისტრო ყოველთვის იმიტომ-კი არ აბრუნებს წესდების პროექტს, რომ უთუოდ შეიცვალოს იგი სხვა წესდების მიხედვით, არამედ პროექტის შესავსებლადა და უბრალო სახელმძღვანელოდ. პროექტის შემდგენელთა მოვალეობაა ამ შემთხვევაში ეცადონ თავის პირვანდელ წესდების დამტკიცებას დასაბუთებულ და განმარტებულ მოხსენების წარდგენითა და სხვა გზით. ჩვენ ვექვობთ, რომ ტფილისის კომისია ასე მოქცეულიყოს; ვეჰვობთ იმიტომ, რომ ახლად დამტკიცებულს წესდებას არავითარი თავისებურობა არ ეტყობა და იგი ზღუდავს იმ სამოქმედო ასპარეზსაც, რომელიც წინანდელს ნახევრადოფიციალურს კომისიასაც ჰქონდა.

## საზღვარ-გარედ

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** კერბერის პროექტის შესახებ სტაროჩეხების გაზეთი „პოლიტიკ"-ი სწერს: „თუ ჰსურს, რომ გაჭირვებას თავი დააღწიოს, კერბერმა უნდა გამოაცხადოს, რომ ჩეხებისაგან უარ-ყოფილი პროექტი ოფიციალურად არ შემიტანია და ეხლა განზრახვა მაქვს და ვეცდები კიდეც, რომ ეროვნული საქმე სხვანაირად გადავსწყვიტოვო".

✦ განზრახვა აქვთ, ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორს ჯამაგირი მოუმატონ. ჰუნგრეთული გაზეთი „ბუდაპეშტი ჰირლაპ" წინააღმდეგია ამ მომატებისა; „ჰუნგრეთი ეხლაც 9 მილიონს აძლევს იმპერატორსაო, და ამოდენა ფულიდან მარტო 2—3 მილიონი ძლივს იხარჯება ჰუნგრეთშიო".

**ოსმალეთი.** „ბერლინერ ტაგებლატ"-ს სტამბოლიდან დეპეშა მოჰსვლია მაკედონიის აჯანყების თაობაზე. დეპეშიდან სჩანს, რომ აჯანყება უფრო ძლიერია, ვიდრე ოსმალეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობებიდან სჩანდა. სალონიკიდან ისე მატარებელი არ მოვა, რომ დაჭრილები არ მოიყვანოს. დაჭრილების რიცხვი უფრო მეტიც უნდა იყოს, რადგანაც მსუბუქად დაჭრილები სალონიკისა, უსკიუბისა და ადრიანოპოლის საავადმყოფოებში რჩებიან.

**ბოლგარია.** ოსმალეთის ნოტის გამოისობით, დიდმა სახელმწიფოებმა მისწერეს ბოლგარიას, ნებას ნურავის მისცემ, რომ აჯანყებულ მაკედონიელებს დახმარება გაუწიონო. სოფიაში ირწმუნებიან, ბოლგარია ყოველნაირად ცდილობს მაკედონიელების ალაგმვასაო. მაკედონიის საზღვარს ბეჯითად ადევნებენ თვალ-ყურს. საზღვარზე მთებში ყველგან ყარაულები არიან დაყენებულნი; ამ ბოლოს დროს კიდევაც მოუმატეს დარაჯები. მაგრამ თითონ ეს პატარა ჯარიც ხათაბალად ხდება. ამ ჯარში ბევრი მაკედონიელი მსახურობს და ქსენი, რამწამს მარჯვე შემთხვევა შეხვდებათ, მაშინვე მაკედონიაში გადადიან და იქ აჯანყებულების რაზმებში შედიან.

**იტალია.** მომავალ სესიის დროს პარლამენტი ყველაზე წინ განიხილავს კანონ-პროექტს მიწის პატრონის და მოიჯარადრის ურთიერთობის შესახებ. ეს კანონ-პროექტი მთავრობამ შეადგინა. იტალიაში მამულის წვრილი მოიჯარადრეები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან. თითქმის არ არსებობს არც ერთი ისეთი კანონი, რომ მამულის მოიჯარადრემ მიწის პატრონის თვით-ნებობისა და სიხარბისაგან დაიცვას თავი. სამაგიეროდ იტალიის სამოქალაქო დებულებაში ბევრი ისეთი წესია, რომ მოიჯარადრეს სწორედ საქმეს უჭირვებენ; მაგალითად, მე-1958 მუხლის ძალით მამულის პატრონს უფლება აქვს პირობის მცირე დარღვევისათვის მოიჯარადრე დაითხოვოს, თუნდ პური მოსამკალადაც იყოს შემოსული, ესე იგი უფლება აქვს მოიჯარადრე ცალიერზე დასვას და თავის ნაშრომზე ხელი დააბანინოს. ახალი კანონ-პროექტი მხოლოდ უფრო ღარიბ და სუსტ მოიჯარადრეებს იცავს; პროექტი მხოლოდ მცირე ვადიან—არა უმეტეს 6 წლისა—საიჯარო პირობებს შეეხება და ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ იჯარადარსა დ იმის ოჯახობას მოჯამაგირეები არა ჰყავთ და თუ იჯარადარს იმდენი ფული არა აქვს, რამდენიც საჭიროა მეურნეობის წარმოებისათვის. თუ პირობის წერილი არ დაუწერიათ, მიწის პატრონი მოვალეა ადგილობრივ ჩვეულების თანახმად იჯარადარს სათესლე პური მისცეს და მეურნეობისათვის საჭირო ფული ასესხოს. სარგებელს უნდა დასჯერდეს მარტო 5 პროც.; უდიერს სარგებელს ველარ გამოართმევს, თორემ აქამდე მეტის-მეტ დიდ სარგებელს იღებდნენ. აქამდე მამულის პატრონები ათასნაირად იმსახურებდნენ იჯარადრებს, ახალი პროექტის ძალით-კი მესაკუთრენი, გარდა დაპირებულ საიჯარო ქირისა და მოსავლის ნაწილისა (როცა მამულს წილზე იღებენ), სხვას ვერას გამოართმევენ მოიჯარადრეებს და ვერც იმსახურებენ; თუ გამოართვეს რამე, ან იმსახურეს, თითონაც სამაგიერო უნდა გადაუხადონ. აქამდე ასე იყო, რომ მამულის პატრონები წინდაწინვე პირობას ართმევდნენ მონახევრე გლეხებს მოსავლის ნაწილის მაგივრად ფული მოგვეცითო და მეტად ძვირადაც აფასებდნენ მოსავალს; ისე ძვირად აფასებდნენ, რომ გლეხ-კაცი ბაზარში ვერას დროს ვერ გაჰყიდდა ამ ფასში და ამიტომ თითქმის მთელი მოსავლის ფასი მამულის პატრონს მიჰქონდა. ახალის კანონით აღკრძალულია ასეთის პირობის დაწერა. ახალი კანონი თხოულობს აგრეთვე, რომ მამულის პატრონმა იჯარადარს ყოველ სამსახურისა და საქმისთვის საღირალი ფასი მისცეს ადგილობრივ ჩვეულებისა და გაკეთებულ საქმის დაკვალად. სამოქალაქო კანონის ძალით, ზოგიერთ უბედურ შემთხვევის დროს იჯარადარს საიჯარო ქირა ნაკლები უნდა გამოერთვას, მაგრამ მამულის პატრონები პირობას ართმევდნენ გლეხ-კაცებს, რაც უნდა მოხდეს, მაინც იჯარას არ დააკლდესო. ახალის კანონის ძალით ასეთი პირობის დადებაც აკრძალულია.

ახალის კანონით მეტად საყურადღებო წესებია დადგენილი მამულის გაუმჯობესების თაობაზე. თუ საიჯარო პირობის ძალით, იჯარადარი მოვალეა თავის ხარჯით მამულში ხეხილი, ან სხვა რამ დარგოს, მაშინ იჯარადარს უფლება აქვს, როცა მამულს თავს გაანებებს, თავის შრომის საზღაური მიიღოს, თუნდაც რომ იჯარადარმა თითონვე დაარღვიოს საიჯარო პირობა და იჯარის ვადის შესრულებამდე დასტოვოს მამული. ეს კიდევ ცოტაა, ამისთანა პირობის წერილიც რომ არ იყოს, თუ იჯარადარმა მამულის პატრონის თანხმობით მამულში შენობა ააგო, ან სარწყავი არხები გაიყვანა, ან მამული დაწკრიტა, მაშინაც ფული უნდა მიეცეს, ეგ არის, რომ კანონ-პროექტი თითქმის უსაბუთოდ ადგენს, რომ ამ შემთხვევაში იჯარადარს მარტო ერთის წლის საიჯარო ქირის ოდენა საზღაური უნდა მიეცესო. თუ საიჯარო პირობის თაობაზე ატეხილ დავების გადასაწყვეტად კანონ-პროექტის ძალით სამედიატორო სასამართლოები უნდა დაწესდეს, მედიატორეებად მამულის პატრონების წარმომადგენლებიც იქნებიან არჩეულნი და იჯარადარ გლეხ-კაცებისაც.

**ინგლისი.** ლორდ როზბერიმ ედინბურგში სიტყვა წარმოსთქვა და თავისი პოლიტიკური პროგრამა გააცნო ხალხსა. როზბერის ახალი არა უთქვამს-რა. ორატორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ირლანდიის ჰომრულის და საზოგადოდ შეერთებულ სამეფოს ცალკე ნაწილებისათვის დამოუკიდებელ პარლამენტების დაარსება საჭირო არ არისო, მაგრამ ირლანდიასა, შოტლანდიასა და უელსში ადგილობრივი თვით-მმართველობა კი უნდა გაფართოვდესო. ერთის სიტყვით, ორატორის აზრით, ლიბერალურმა პარტიამ გლადსტონის პროგრამაზე ხელი უნდა აიღოს, თორემ უამისოდ ლიბერალები ვერას დროს ვერ ჩადგებიან მთავრობის სათავეშიო. მაგრამ სოლსბერი-ბალფურის კონსერვატიულ სამინისტროს მაგალითს უნდა დაერწმუნებინა ინგლისი, რომ სოციალურ რეფორმის მოხდენა მარტო ლიბერალებს შეუძლიანთ. დასასრულს როზბერის სამხედრო სამინისტროს მოქმედება გაეკიცხა.

✦ „მუნიციპალ ჟურნალ"-ში საინტერესო წერილები იბეჭდება ინგლისის ქალაქების მეურნეობაზე. გაზეთი ოფიციალურის ცნობებით ჰსარგებლობს და ამტკიცებს, რომ საქალაქო მეურნეობისათვის ძლიერ სასარგებლო ყოფილა სხვა-და-სხვა საქმეების წარმოება: ქალაქებს ძლიერ კარგადაც მიჰყავთ საქმე და დიდი შემოსავალიცა აქვთ. ისეთი დიდი შემოსავალი ჰქონიათ, რომ ადგილობრივი ხარჯებისთვისაც კი დაუკლიათ და ღარიბ ხალხისათვის შეღავათი მიუციათ. დარლინგტონში, მაგალითად, ქალაქს 70 ათასი გირ. სტ. დაუკლია ხარჯებისათვის, ბირმინჰამში—183,7 ათასი, ბოლტონში—200 ათასი, მანჩესტერში—442 ათასი, ლიდსში—174 ათასი, ნატიჰემში 144 ათასი გ. სტ. დარლინგტონში გაზის განათებიდან, წყლის მილიდან და ბაზრიდან ისეთი დიდი შემოსავალი ჰქონიათ, რომ წარსულ ხუთის წლის განმავლობაში ადგილობრივ ხარჯებისათვის წელიწადში თითო გირვ. სტ.—1 შილინგი და 7 პენსი მოუკლიათ. ამ ციფირების თანახმად, ჟურნალი ამტკიცებს, რომ ადგილობრივი გადასახადები იმ ქალაქებში უფრო მცირეა, სადაც სხვა-და სხვა საქალაქო საქმეებს თითონ ქალაქის საბჭოები აწარმოებენო. მაშასადამე „ტაიმს"-ისა და საზოგადოთ „მუნიციპალურ სოციალიზმის" მოწინააღმდეგეები სიმართლეზე მწყრალად არიან, როცა ამტკიცებენ, ვითომ ქალაქებისათვის ამისთანა საქმეებს ზარალის მეტი არ მოაქვთ რაო.

## ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყეთ, უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია **ამიერ-კავკასიაში სამკურნალო საქმე გააუმჯობესოს.** აზრადა აქვთ თითო მაზრაში ორ-ორი სასოფლო-სამკურნალო დააარსონ და ორ-ორი საფერშლო ადგილი მოაწყონ. ამ ჟამად სასოფლო მკურნალობის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიაში იხარჯება 214,000 მანეთი; ახალის გეგმით კი დაიხარჯება 920,000 მანეთი.

✦ „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა სთხოვს ჩვენს რედაქციას, მოვაგონოთ „საზოგადოების" წევრებს, რომ დროზე წარუდგინონ გამგეობას **საწევრო ფული.** ამ ორის თვის წინად, როგორც გვქონდა აღნიშნული, 1000 წევრში მხოლოდ 60 კაცს აქვს საწევრო ფული წარდგენილი.

✦ კახეთიდან უკვე დაბრუნდა ამერიკელი ბ-ნი ჰანრი ლამარკი, რომელიც ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად იყო. როგორც გავიგეთ, ბ-ნ ლამარკს **გაზეთის რკინის გზის გაყვანა** თიანეთზე უფრო საუმჯობესოდ უცვნია.

✦ 28 ოქტომბრის სხდომაზე „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება საზოგადოების მდივნის ს. ფირცხალავასი იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას პროექტი იმ წესებისა, რომელთა მიხედვითაც უნდა დაინიშნოს თავ. გ. დადიანის მიერ შეწირულ თანხიდან **პრემიები.** გამგეობამ გადასწყვიტა, მიანდოს პროექტის შემუშავება გამგეობის წევრს ბ-ნ დავით კარიჭაშვილს. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა დადიანის თანხიდან სტიპენდიების დანიშვნა გადაიდოს ერთის წლით, ვიდრე სტიპენდიებისათვის საჭირო სარგებელი შესდგება.

✦ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, **რომის კათოლიკეთა მიტროპოლიტს** ბ-ნ კლოპოტოვსკის აზრადა აქვს მერმის დაიაროს კათოლიკეთა ის ეკკლესიები, რომელნიც რუსეთის აზიაშია. სხვათა შორის, მიტროპოლიტი ტფილისსაც მოვა.

✦ ამ რამდენისამე თვის წინად, ქალაქის გამგეობის განკარგულებით, რკინის გზის **სადგურზე ფქვილი გააჩერეს** და პატრონებს გამოტანისა და გაყიდვის ნება არ მისცეს, რადგან ფქვილი გაფუჭებულად იცნეს. ეს ფქვილი დღემდე სადგურზე აწყვია და რკინის გზის მთავრობა ახლა სთხოვს გამგეობას, ან წაიღეთ სადგურიდან ფქვილი და შესანახი ფული მოგვეცით, ან ფქვილს გავყიდით და ჩვენი ბრალი არ იყოს, თუ ფქვილი ხმარებაში წავაო.

ქალაქის გამგეობას დაუდგენია სადგურზე ფქვილის შესანახი პატრონს გადახდესო და, თუ ამ ფულს არ გადაიხდიან და ფქვილი გაიყიდება, ვსთხოვთ რკინის გზის მმართველობას ვაჭრობის დღე გვაცნობოს, რომ ჩვენის მხრით საშუალება ვიხმაროთ და ფქვილი გასაღებაში არ წავიდესო.

✦ შარშან-წინ დიდუბეში ვინმე პანკინის სახლი დაიწვა. ამ სახლში ბევრი ხელმოკლე **მუშა ხალხი ცხოვრობდა** და ცეცხლისაგან დიდი ზარალი მოუვიდათ. რამდენისამე დღის შემდეგ, დიდუბის ეკკლესიის დეკანოზმა მ. ცინცაძემ, რომელიც სასულიერო მთავრობის მხრით საბჭოს წევრადაა, განცხადება მისცა ქალაქის საბჭოს, შემწეობა მიეცით ცეცხლისაგან დაზარალებულ ხელმოკლე ხალხსაო. საბჭომ 25 თუმნით შემწეობის მიცემა გადასწყვიტა, მაგრამ ეს ფული, როგორც აღმოჩნდა, აქამომდე თურმე დაურიგებელი რჩება ქალაქის კასაში და ახლა გამგეობას განზრახვა აქვს ეს ფული ღარიბთა ღამის თავშესაფარს გადასცეს.

საკვირველია, რომ ფული ორი წელიწადი დაურიგებელია და ამისათვის არც გამგეობას უზრუნვია და არც მ. ცინცაძეს, რომლის ვანცხადებით ქალაქმა შესაწირავი გამოიღო...

✦ ჯერ კიდევ ზაფხულს დაათვალიერა ქალაქის ექიმმა-ქალმა შჩერბინინისამ მე-6 უბანში **საპნის ქარხნები** და დიდი უსუფთაობა აღმოაჩინა იქ. ზოგს დაუხურეს ამის გამო ქარხანა, ზოგსაც ვადა მისცეს, უსუფთაობა მოესპოთ და შენობებიც შეეკეთებინათ. ქალაქის გამგეობამ ახლა ტეხნიკოსს დაავალა, დაათვალიერე ქარხნები და წარმოგვიდგინე იმათი მდგომარეობის ამბავიო.

✦ პოლაკსა და კომპ. ქალაქმა ნება მისცა კერძო კაცთა სახლები **ელექტრონით გაანათოს,** მხოლოდ პირობად დაუდვა სამი ფანარი უფასოდ გაემართა ქალაქის ქუჩებში. ბ-ნმა პოლაკმა სახლებში ელექტრონის გამართვა ცოდი ხანია დაიწყო, მაგრამ ქუჩებში ფარნები ჯერ არ გაუმართავს.

✦ ტფილისის **ბებია-ქალთა ერთ ჯგუფს** განუზრახავს დააარსონ აქ „ბებია-ქალთა საურთიერთო დამხმარებელი კავკასიის საზოგადოება", წესდება შეუდგენიათ და კავკასიის მთავარ-სამმართველოსაც შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარუდგენია. სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს წესდებაში რამდენივე მუხლი შეიცვალოს; ეს ცვლილება აღუნიშნავს და წესდებაც უკან დაუბრუნებია მთხოვნელთა საცნობლად. თუ „საზოგადოების" დამაარსებელნი მოისურვებენ წესდების იმ გვარად შეცვლას, როგორც სამინისტრომ აღნიშნაო—იუწყება გაზ. „კავკაზ"-ი—იმ შემთხვევაში წესდებაც დაუყოვნებლივ დამტკიცდებაო.

✦ გუშინ ქალაქის კომისიამ განიხილა **სასაკლაოს ბაკების** აშენების პროექტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინა: რადგან თვით საყასბოს აშენება მხოლოდ 1903 წლიდან დაიწყება, ბაკების აშენებაც იმ დრომდე დარჩესო; მოწვეულ იქმნეს ამ საქმის მცოდნე-ტეხნიკოსი და სასყიდელი იმ ფულიდან მიეცეს, რომელიც ქალაქის ინჟენერის ჯამაგირად არის გადადებული და ინჟენერი კი აქამდე ქალაქს არა ჰყავს. ამას გარდა კომისიამ ისიც დაადგინა, რომ საყასბოსთან თავისუფალი ადგილები ქალაქისა იჯარით გაიცეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ დუქნები და სახლები გაშენდეს. ადგილები სამ რიგად დაუყვიათ: პირველისა—საჟენი 3 შაურად დაუდგენიათ, მეორისა—ორ შაურად და მესამისა—შაურად.

✦ ტფილისს კიდევ **ახალის ნახევრის ლამპით** განათების მსურველი გამოსჩენია. სტოკჰოლმიდან (შვეციაში) ფირმის „ლუქს“-ის წარმომადგენელს უთხოვნია ქალაქის გამგეობისთვის, ნება მომეცით ერევნის მოედანზე ჩვენის სისტემის ლამპა გავმართო და საჩვენებლად გავანათოო. ლამპა 700 სანთლის სინათლეს უდრის თურმე. გამგეობამ, რა თქმა უნდა, ამის ნება დართო.

✦ ქალაქსა და თამამშევის ქარვასლის პატრონთ **ხადათად გაუხდათ** ის ადგილები, რომელიც ამ ქარვასლის ორ კუთხეში მიშენებულმა პატარა დუქნებმა დაიჭირეს. დღეს ქალაქის მხრით კომისია და ბ-ნი თამამშევი დაათვალიერებენ ამ ადგილებს და გამოიკვლევენ სადავო საქმეს.

✦ მკითხველებმა, რასა თქმა უნდა, კარგად იციან, ჩვენი ვაჭრები რა მამასისხლად ჰყიდიან ტფილისში სხვა და სხვა სანოვაგეს—კვერცხს, ქათამს, ინდაურს და სხვა. ხშირად მუშტარს ატყუებენ კიდეც და კარგის სანოვაგის ნაცვლად უხეიროსა და უვარგისს აძლევენ. ამას წინად ბ-ნ ა. ნებიერიძის მეთაურობით შესდგა ამხანაგობა, რომელიც ტფილისშივე, ვერაზედ, შეუდგა შინაურ ფრინველის მოვლა-მოშენებას. ამხანაგობამ უკვე ვაჭრობაც დაიწყო ფრინველითა და კვერცხით. ამ აზრით შუა ბაზარში გაუმართავს ფარდული, სადაც ერთ კვირაზე მეტია ჰყიდის კვერცხსა და ფრინველს. ამხანაგობას აზრადა აქვს შუა ბაზრის ახლობლად გამართოს კანტორა და საწყობი და თავის ნაწარმოების გარდა შეიძინოს სოფლიდან შემოტანილი სანოვაგეც.

✦ გუმბრში ქალაქსაცა და სამხედრო უწყებასაც გალკინის სისტემით განათება მოუწონებიათ და კიდეც მორიგებულან ამ ფირმის წარმომადგენელთან, რომ გაჰმართოს გალკინის ლამპები. როგორც იქიდან გვატყობინებენ, რამდენიმე ლამპა კიდეც გაუმართავს რკინის გზის სადგურიდან მომავალ ქუჩაზე და შიგ ქალაქშიაც.

✦ როგორც სამტრედიიდან გვატყობინებენ, სამტრედიის ბოქაულად დაუნიშნავთ ქობულეთის ბოქაული ბ-ნი მაისურაძე.

✦ ახირებული სათხოვარით მიუმართნიათ ავლაბრის მცხოვრებლებს ქალაქის მოურავის მოადგილისათვის: იმდენად შევიწროებული ვართ ავლაბრის მედუქნეების თავ-გასულობით, განსაკუთრებით მანდილოსნებით, რომ, ხორცის დუქანს თუ გახსნით, კახეთის მოედანს მოაშორეთ, სადმე მუდრო ადგილას გაჰმართეთ, რომ თავისუფლად შეგვეძლოს ამ დუქანში ვაჭრობაო.

✦ ქალაქის მოურავის მოადგილეს რამდენიმე საჩივარი მოჰსვლია, ქალაქის დუქნებში ხორცს იმ ხარისხებით ვერა ვიღებთ, როგორც დაწესებულიაო.

✦ გუმბრიდან გვატყობინებენ: 27 ოქტომბერს ერევნის რკინის გზის მე-36 ვერსზე ჰნახეს გაყინული მუშა ნიკიფორ ბასენკო, მოიჯარადრის ლავროვისა.

✦ გომიდან გვატყობინებენ: 27 ოქტომბერს გომის სადგურთან მატარებლიდან გადმოსვლის დროს დაშავდა გორის მაზრის გლეხი ალექსი ნადირაშვილი. მატარებელმა ნადირაშვილს მარცხენა ფეხის ოთხი თითი გაუჭყლიტა. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქ-ნი ეკატერინე ნიკოლაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: ქუთაისში სახალხო თეატრის განზრახულ შენობის თანხის გასაძლიერებლად განსვენებულ თავად სოლომონ ივანეს ძე ლორთქიფანიძეს დაუტოვებია ხუთასი მანეთი, რომელიც ამ დღეებში გადმომცა თავად სამსონ აბაშიძის ასულმა მარგალიტამ. იმედი გვაქვს, რომ ამ სიმპატიურს და სასარგებლო მაგალითს სხვებიც წაჰბაძვენ და დაგვეხმარებიან ამ კეთილ საქმის განსახორციელებლად.

✦ ექ. გრ. ქორქაშვილს წარუდგენია საგუბერნიო კომიტეტისათვის მოხსენება ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა სხკრებულომ დაავალა ქალაქის მოურავს დ. ა. ლორთქიფანიძეს, პასუხის გებაში მისცეს ის 11 ამომრჩეველი, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ ხმოსნების არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა.

✦ როგორც უკვე გაუწყეთ, სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის პირველ სექციის კრება დანიშნულია საგლეხო საკრებულოს სადგომში 4 ნოემბრისათვის, სალამოს 7 საათზე. ამ კრებაზე განაწილებული იქმნება წევრთა შორის სამუშაო მასალა. სექციის თავმჯდომარემ კრებებზე დასასწრებლად მიიწვია მაზრების წინამძღოლნი და სოფლის მეურნენი.

✦ ქუთაისის საპყრობილის უფროსს ბ-ნ მაჰმუდ-ბეგოვს თავის ინიციატივითა და საშუალებით საპყრობილეში ტუსაღთათვის სკოლა გაუმართავს, სადაც ასწავლიან: რუსულს, ქართულს, სამღვთო სჯულს და ანგარიშს. ჯერ-ჯერობით მხოლოდ თორმეტი კაცი სწავლობს ყოველ დღე. საპყრობილესთან არის პატარა წიგნთ-საცავიც, რომელშიაც მხოლოდ ორიოდე წიგნია. ჯერ-ჯერობით სწავლის საქმე, რასაკვირველია, ვერაა ხეირიანად მოწყობილი, და ერთ კაცს შემდეგშიაც არ შეუძლიან მისი რიგიანად წაყვანა, მაგრამ საქმის დაწყებისათვისაც დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მაჰმუდ-ბეგოვი და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებაც გულ-მხურვალე დახმარებას აღმოუჩენს იმას ამ სიმპატიურ საქმეში და გულს არ ააცრუებინებს. საჭიროა დავეხმაროთ როგორც წიგნებით, ისე ფულით და ტუსაღების უფასოდ სწავლებით.

✦ ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდას“ გამგეობა სხვა ამხანაგობებთან შეთანხმებით მომავალ დეკემბერს მოახდენს ჩვენში არსებულ სამეურნეო ამხანაგობების წარმომადგენელთა კრებას, რომელიც შეიმუშავებს ამხანაგობათა საერთო კავშირის წესდებას და გამოარკვევს, რა და რა მიზეზნი და გარემოებანი აბრკოლებენ ამხანაგობათა საქმეების წინმსვლელობასა და კეთილდღეობას.

✦ არაფერი ეშველა ქალაქის აფთიაქის ერთი ადგილიდან დაძვრას, თუმცა ამით ქალაქს ყოველ დღე 12—15 მანეთი ზარალი აქვს. ეხლა კი, როგორც გავიგე, კერძო მეაფთიაქეებს საჩივარი შეუტანიათ მთავრობასთან, რომ აფთიაქი ტფილისის ქუჩაზე ქალაქის შენობაში არ იქმნეს გადმოტანილი.

✦ ქუთაისში საძაგელი ამინდებია: თითქმის ყოველ დღე წვიმს და თუ წვიმა შესწყდა, ამოვარდება სუსხიანი ქარი და უარეს დღეს გვაყენებს. ამის გამო ათასნაირმა ავადმყოფობამ იჩინა თავი; უფრო გავრცელებულია ინფლუენცია და სხვა-და-სხვა გვარი ანთება. თითქმის ექიმებიც არ დაინდო ამგვარმა ამინდმა და თვითონ ისინი გახდნენ საექიმოდ.

# რუსეთის ქრონიკა

✦ რუსეთში უმაღლესს სასწავლებლებზე საზოგადოდ ცოტა იხარჯება. ყველაზე მეტი ფული უნდება მოსკოვის უნივერსიტეტს—1,300,000 მანეთი; პეტერბურგის უნივერსიტეტს წელიწადში უნდება 800,000 მანეთი, სხვა უნივერსიტეტებს—თითოს 500,000 მან., ხოლო ვარშავისა, ტომსკისა და იურიევის—თითოს 400,000 მან. ამასთან რუსეთში სულ ცხრა უნივერსიტეტია. ასე არ არის საზღვარ-გარედ. მთლად ევროპაში რუსეთს გარდა 120 უნივერსიტეტია, ხოლო შეერთებულ შტატებში—41. ისეთი პაწაწა სახელმწიფოც-კი, როგორც რუმინიაა, ორს უნივერსიტეტზე ჰხარჯავს $1^1/_2$ მილიონ მანეთს. ბერლინის უნივერსიტეტს უნდება წელიწადში $1^1/_2$ მილიონი მანეთი, ლუნდისას (შვეცია)—1,800,000 მანეთი, პარიზისას—2,200,000 მან., კემბრიჯისას (ამერიკის შტატ მასაჩუზეტშია)—3,000,000 მ. დიდ ფულსა ჰხარჯავენ უნივერსიტეტებსა და უმაღლესს სასწავლებლებზე განსაკუთრებით ამერიკაში. პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტს 1900 წელს მოახმარეს 274,000 მანეთი, ხოლო ბოსტონის (ამერიკაში) ასეთსავე ინსტიტუტს—2,800,000 მანეთი. ქონება საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტებს მეტად დიდი აქვთ. ზემოდ ხსენებულ კემბრიჯის უნივერსიტეტს, მაგალითად, 25 მილიონ მანეთის ქონება აქვს. სტუდენტთა რიცხვიც საზღვარ-გარედ დიდია. 1900—1901 სამოსწავლო წელს ითვლებოდა:

| | | |
|---|---|---|
| პარიზის უნივერსიტეტში . . | 12,171 | სტუდ. |
| ბერლინის „ . . | 12,063 | „ |
| კაიროს უმაღლეს სკოლაში. . | 9,063 | „ |
| ვენის უნივერსიტეტში . . | 6,009 | „ |
| ბუდაპეშტის „ . . | 5,661 | „ |
| ნეაპოლისა „ . . | 5,165 | „ |
| მადრიდისა „ . . | 5,118 | „ |
| გლაზგოს სატეხნიკო სკოლაში | 4,587 | „ |
| ბერლინის „ „ . | 4,441 | „ |

ამავე წელს ირიცხებოდა:

| | | |
|---|---|---|
| შეერთ. შტატების უნივერსიტ. | 65,500 | სტუდ. |
| გერმანიის „ . | 41,000 | „ |
| რუსეთის „ . | 16,800 | „ |

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში მალე მუშაობას შეუდგება ახალი კომისია. ამ კომისიას მინდობილი აქვს სულით-ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე. კომისიამ უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული ტიპი საგუბერნიო საავადმყოფოებისა.

✦ ამავე სამინისტროსთან განსაკუთრებული კომისია ამ ცოტა ხანში შეუდგება სამკურნალო წესდების გადასინჯვას. კომისიაში მიიწვევენ ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთაც.

✦ გზათა სამინისტროს განუზრახავს მატარებლებში გამართოს განსაკუთრებული განყოფილებანი იმათ დასაწვენად, ვინც გზაში მოულოდნელად ავად გახდება. ამ განყოფილებებში პატარა საგზაო აფთიაქებიც გაიმართება. ამბობენ, კონდუქტორთა შორის ერთი ფერშალიც იქმნებაო.

✦ კურსკის სამაზრო ერობამ გადასწყვიტა მაზრაში ყველა სკოლასთან პატარა ლაბორატორია გამართოს.

## კადეტთა კორპუსებში ყმაწვილების მიბარება

მთავარ-მართებლის კანცელარიამ განკარგულება მოახდინა შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა ითხოვონ თავიანთ ყმაწვილების კადეტთა კორპუსებში მიღება. ეს წესები კავკასიის ყველა გუბერნატორს გაეგზავნა და ამას შემდეგ საყოველთაოდ ცხადდება ყველასათვის. ეს წესები შემდეგია:

1) ვინც სამხედროსა ან სამოქალაქო დაწესებულებაში მსახურებს ანუ უმსახურნია, რა ხელოსნობისაც უნდა იყოს, თავისის ყმაწვილის მისაღები სათხოვარი მთავარ-მართებლის სახელობაზე უნდა დასწეროს და შტაბში უნდა გაჰგზავნოს იმ წესით, რომელიც გამოცხადებულია Въ ст. 1001 св. в. п., кн. XV, изд. 1896 г.

2) ასეთივე სათხოვარი იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც არც მსახურებენ და არც უმსახურნიათ, უნდა მისცენ გუბერნატორს და თან საჭირო საბუთის-ქაღალდები წარუდგინონ. ამისათვის ვადაა დანიშნული 1-ლ სექტემბრიდან 1-ლ თებერვლამდე. შეწყნარებულ არ იქმნება ის სათხოვარი, რომელიც ამ ვადაზე უფრო გვიან მიუგათ (თუნდაც ფოსტაში იანვარში მისცენ), ან ისეთი სათხოვარი, რომლითაც ითხოვენ დაგვიანება გვაპატიეთო, აგრეთვე რაც სათხოვართან ერთად საჭირო საბუთები არ იქმნება წარდგენილი დანიშნულ ვადამდე (1-ლ სექტემბრიდან 1-ლ თებერვლამდე).

3) იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც სამსახურში არ არიან, სათხოვართან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები: ა) დაბადებისა და ნათლობის მეტრიკა ყმაწვილისა; ბ) სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მოწმობა შესახებ იმისა, რომ მთხოვნელი რუსეთის მთავრობისაგან თავად-აზნაურთა წოდებაში დამტკიცებულია; გ) პოლიციის მოწმობა ოჯახობრივისა და ნივთიერის მდგომარეობის შესახებ, სადაც დაწვრილებით უნდა იყოს გამოცხადებული, ვისგან შესდგება ოჯახი, ვისის ხარჯით ინახებიან, რამდენის წლისანი არიან, შვილები სად და ვისის ხარჯით სწავლობენ; აგრეთვე დაწვრილებით ჩამოთვლილი უნდა იყოს ამ მოწმობაში რა მამული აქვს და რამდენი შემოსავალი აქვს იქიდან მთხოვნელს; აქამდე რომ იწერებოდა მოწმობაში „მთხოვნელი ღარიბია და საშუალება არა აქვს თავისის ხარჯით შვილები გამოზარდოსო“—ამას იქით აღარ მიიღება; დ) ექიმის მოწმობა, რომ ყმაწვილი ჯანმრთელია და ყვავილიც აცრილი აქვს და ე) დაწესებული ხელ-წერილი, რომლითაც მთხოვნელივალდებული ჰხდება თავისი ყმაწვილი უკან წაიყვანოს, როცა ამას კორპუსის მთავრობა მოითხოვს.

სათხოვარში გამოცხადებული უნდა იქმნეს აგრეთვე, რომელ კლასში უნდა მისცეს ყმაწვილი, სად ისწავლია, ან სად სწავლობს. თუ ყმაწვილი არსად სწავლობს და მოსამზადებელ კლასში შესვლა უნდა, კანონით უნდა იცოდეს: რუსულის გარკვევით წაკითხვა, წიგნიდან გადმოწერა და საჭირო ლოცვები; თუ ესენი არ ეცოდინა—ყმაწვილს კორპუსში არ მიიღებენ.

თუ ზემო მოყვანილი მოთხოვნილებანი კანონისა მთხოვნელმა არ აასრულა და გუბერნატორის მაგიერ მთავარ-მართებელს მიჰმართა თხოვნით, იმის სათხოვარი განხილული არ იქმნება.

## ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

მეტად კომიკური, უფრო საოპერეტო ხასიათი მიიღო საბჭოს გუშინწინდელმა სხდომამ. სხვათა შორის, განსახილველი იყო „სახლების დანომვრის შესახებ სავალდებულო დადგენილებანი“. სრული საათ-ნახევარი მოანდომეს ამ სავალდებულო დადგენილებათა ორი მუხლის განხილვას (პირველი მუხლი უკამათოდ მიიღეს, მაგრამ გამგეობას სამჯერ წააკითხეს იგი, სანამ გაიგებდნენ, თუ გაიგონებდნენ) და მაინც ვერ გაათავეს. პირველი ჩვენი საბჭოსათვის ასე მძიმე კითხვა ის იყო, თუ სად უნდა იქმნეს მიკრული სახლის ნომერი. ორატორი ორატორს სცვლიდა, ერთი მეორეზე უფრო ცხარობდა. რუსული ენის არ მცოდნე მაყურებელს ეგონებოდა, რომ ქალაქს ალა-მაჰმად-ხანი შემოსევია და „მამები“ მის სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს სწყვეტენო. თორმეტმა ორატორმა წარმოსთქვა მჭერმეტყველური სიტყვა ამ საკითხის შესახებ. სხვათა შორის, ბაღდასაროვ-ბუღდანოვი აღელვებულის ხმით კითხვას კითხვაზე აძლევდა გამგეობას და საგანგებო კომისიას (რამდენიმე თვე უმუშავნია ამ „დადგენილებათა“ შედგენისათვის), თუ რატომ გსურთ აქ იყოს ნომერი და არა იქაო. ბოლოს, როცა თავმჯდომარე შეეკითხა, მიიღებთ თუ არა წარმოდგენილ მუხლსო, ბუღდასაროვმა შესანიშნავის სიტყვით გამოაცხადა—„არა და არა“-ო. ბოლოს, როგორც იქმნა, საბჭომ მიიღო ეს მუხლი.

ჯერი მიდგა მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვან, საკითხზე—სად უნდა შეიძინონ სახლის პატრონებმა ნომრიანი პლაკატები? კამათი უფრო ხანგრძლივი და ცხარე იყო. სულ ილაპარაკა თორმეტმა ხმოსანმა, მათ შორის სულხანოვმა ოთხჯერ (კომისიის წევრია), ავთანდილოვმა, ექ. ბაბოვმა, ლისიციანმა (ამ ხმოსანმა ისეთის ხმით მოითხოვა ლაპარაკის ნება, რომ გვეგონა ცეცხლი ეკიდებოდა) და არ. ბაბოვმა ორ-ორჯელ. დანარჩენებმა თითოჯერ. ეს თორმეტი ხმოსანი თავმჯდომარის ნებართვით ლაპარაკობდნენ, კერძოდ, ნებადაურთველად კი მთელი საბჭო ლაპარაკობდა, გარდა, რასაკვირველია, ვეტცელისა, რომელსაც არასოდეს ხმა არ ამოუღია თურმე. კითხვა მაინც გადაუწყვეტელი დარჩა!

ღმერთო, როდის გვიხსნი ასეთ „მამებისაგან“!

დაწყებით კი ისე დაიწყეს გუშინდელი სხდომა, რომ ხამ კაცს ჩვენი ხმოსნები მართლა საქმიანი ხალხი ეგონებოდა: წაიკითხეს სახალხო სკოლების ინსპექტორის ქაღალდი შემდეგის შინაარსისა—1897-მდე სომხური სამრევლო სკოლები სომხების კონსისტორიის ხელში იყო და ქონებრივადაც სრულებით უზრუნველყოფილი; ამ წლიდან ეს სკოლები სახალხო სკოლების დირექციის ხელში გადავიდა და გაჭირვებაშიაც ჩავარდა: სალსარი არ არის, რადგან კონსისტორია არაფერს იძლევა, პირ-იქით, უშლის კიდეც ეკკლესიებს დახმარება გაუწიოს მათ; ამიტომ ვითხოვ, რომ ქალაქმა სამას-სამასი მანეთი შემწეობა მისცეს წლიურად ხუთ სამრევლო სკოლასო. გამგეობის აზრით, ყველა სკოლებს უნდა მისცემოდა 750 მ.; სკოლებისა და საფინანსო კომისია წინააღმდეგი იყო შემწეობისა. საბჭომ ერთხმად უარჰყო გამგეობის წინადადება უკამათოდ...

გარდა ამ ორ საქმისა, საბჭომ დაუნიშნა 150 მ. შემწეობა პროფესიონალურ სკოლის მასწავლებელ ქალს ამირაგოვას, უარი უთხრა შემწეობაზე ქალაქის ყოფილ ბუხჰალტერის ნაზაროვის ქვრივს (450 მანეთის პენსიას იღებს თურმე) და არ შეიწყნა საპატიმროების სამზრუნველო კომიტეტის შუამდგომლობა—შეღავათიანის ფასით მოგვეცით მილის წყალიო. ხაზინას კი არ უნდა ვეწეოდეთ, აქეთ უნდა გვეწეოდესო, სთქვეს ზოგიერთებმა.

ცოტა არ იყოს, კოჰორიანცმა გაგვაოცა —წყალი ძვირია და ყველასთვის უნდა დავუკლოთ ფასიო, სთქვა იმ კოჰორიანცმა, რომლისათვისაც ეს „ყველა" არ არსებობს. მაგრამ მალე ისევ ძველი კოჰორიანცი გვიდგა თვალ-წინ: როცა ნაზაროვის ქვრივის შემწეობაზე იყო ლაპარაკი, ხმოსანმა თავისებურის... „გაბედულობით" (ასეთ გაბედულობას რა ჰქვია, ყველამ კარგად იცის) ბრძანა: ვეხმარებით სკოლებს, ბიბლიოთეკებს და ბევრს იმისთანას, რასაც არ ვიცნობთ; ნაზაროვის ქვრივს-კი კარგად ვიცნობთ და უნდა დავეხმაროთო. ამას ხომ კომენტარია არ ეჭირვება!

# თეატრი

**ქუთაისი.** გუშინ, 27 ოქტომბერს, ქუთაისის თეატრში წარმოდგენილი იქმნა მოლიერის ხუთმოქმედებიანი კომედია „ტარტიუფი", ანუ „მეზ-მუზელა". აფიშებზე გამოცხადებული იყო, ორგონის როლს ბ-ნი გასიდ აბაშიძე შეასრულებსო, და უთუოდ ეს გარემოებაც დაეხმარა თეატრში დიდ-ძალ საზოგადოების თავის მოყრას. მხოლოდ რამდენისამე წამით წარმოდგენის დაწყებამდის გაგიგეთ, რომ გასიდ აბაშიძე არ ჩამოსულა. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა და საყვედური (ჩვენი მხრით შენიშვნით—სამართლიანი) გამოიწვია საზოგადოებაში და ბევრი უკანვე დაბრუნდა. ორგონის როლის შესრულება იკისრა, ანუ—უკეთ რომ ვსთქვათ—იკისრეს სრულიად მოუმზადებელს ბ-ნ იმედაშვილს. როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნმა იმედაშვილმა ვერ დაგვიხატა ორგონის ნამდვილი სურათი. ჯერ ერთი რომ—იმისი გრიმი სრულიად შეუსაბამო იყო მოხუც ორგონისათვის: თუმცა თმა თეთრი ჰქონდა, მაგრამ შავი წვერ-ულვაში და უნაოჭო პირისახე ახალგაზრდა ფრანტს უფრო შეეფერებოდა, გინემ ორგონს. მისი სიცოცხლით სავსე თვალები უფრო ცბიერების, ყნოსვადობის გამომეტყველი იყო, ვინემ უსაზღვრო ნდობისა და გულ-უბრყვილობის. ერთის სიტყვით—მამა ორგონა თავის შვილს დამისზე (ბ. ნემა) ბევრად უფრო ყმაწვილი იყო. ბ-ნ შესხამელს, აქვე არ არის, ვიდი წაუხდებოდა უორგონობით, მაგრამ იმან მაინც არ უღალატა სცენას და ისეთავე მშვენიერი ტარტიუფი იყო, როგორც ყოველთვის. ძალიან კარგი იქმნებოდა ქ-ნი ტასო აბაშიძე დორინას როლში, ცოტა რომ არ არ გადაეჭარბებინა; იმის ქცევა ქალბატონ-ბატონებთან გაფიქრებინებდათ, რომ ეს მოსამსახურე ქალი კი არა, თუ თვითონ ქალბატონი არაა, თუ არ ერთი მეგობარი წყვილი მაინცაა. დანარჩენებში კარგი იყო ქ-ნი ავალიშვილი; არც სხვებს დაურღვევიათ ანსამბლი, გარდა ბ-ნ მარიანაშვილისა და ქ-ნ გაბაშვილისა, რომელთაც სრულიად ვერ შესძლეს შეფერებულ მარიანისა და ვალერის როლების შესრულება.

**დონ-ვალიანი.**

# დაბა-სოფლები

**ჩხარი** (იმერეთი). ჩვენი დაბა მეტად დაქვეითებულია. ჩხარს დაბებმა კი არა, სოფლებმაც გაუსწრეს. მთელ დაბაში ერთად-ერთი სკოლაა; წიგნთ-საცავი და სამკითხველო ხომ სულ არ მოიპოვება. სკოლის შენობა ძალიან ცუდია. არამც თუ ზამთრობით, ზაფხულობითაც ძნელია იქ მეცადინეობა. შვიდ-რვა წლის წინად მასწავლებლის მეცადინეობით დაარსდა წიგნთ-საცავი, მაგრამ მალე მოისპო. წიგნები გაიფანტა და წიგნთ-საცავი გაჰქრა. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ეხლანდელმა მასწავლებელმა. სამკითხველოც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ დაბას.

ერთი თვე იქნება, რაც ჩხარში ქალთა სკოლა დაარსა ქ-მა ნინო გოგიაშვილისამ. მასწავლებელ ქალს იმედი ჰქონდა; ეგონა, ბევრი მოსწავლე შევიდოდა სკოლაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ერთი შვიდიოდე ქალია, მეტი არა. ნუ თუ ჩხარელებს განათლების გემო ჯერ არა აქვთ გაგებული?

**ჭიათურა** (იმერეთი). ზაფხულში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები როგორც არტისტებისა, ისე სცენის მოყვარეთა მიერ. ზოგჯერ კვირაში 3—4-ჯერაც კი იმართებოდა წარმოდგენა, მაგრამ ყოველთვის დარბაზი სავსე იყო, ისე მიეწყო ხალხი წარმოდგენებს. სამწუხაროთ, ამ ჟამად მოკლებულნი ვართ წარმოდგენებს. მარიამობისთვის შემდეგ აქაც ერთი წარმოდგენა არ გამართულა. ძალიან კარგი იქმნება, დრამატიული საზოგადოება რომ ხელმძღვანელობდეს მოყვარეთ და დროდადრო წარმოდგენები იმართებოდეს, მაგრამ ჩვენი ბედი ესეთია: ერთი რამ რომ დაიწყება, მალე ჩაქრება ხოლმე; ეხლაც ისე მოხდა — სცენის მოყვარეთა წრე გაიფანტა, მაგრამ მინიმუმ ჩატარდება დასაწყისში ხალხის მხრით ხმაურიანი საზოგადოების ნებართვით...

გამოშვებით მაინც დაგვხვდეს ხოლმე მსახიობებმა.

თითქმის ერთი წელიწადი იქნება, რაც აქ აბანოსა და ელექტრონით განათების გამართვას შეუდგნენ. როგორც ამბობენ, აბანო მოთავებული უნდა იყოს, მხოლოდ ჯერ არ გაუღიათ. სასურველია, მალე დაამთავრონ და ხალხს ბანაობის ნება მისცენ.

**ლადო გუნია.**

# სასამართლო

### შეუვარჩუნებულობის საქმე

გუშინ, 29 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე კანცელარიის მოხელედ ნამყოფის პეტრე ტაბლიაშვილისა, რომელსაც მოსწავლე ქალის ეგბენია როდიონოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. ამ საქმის გარემოება ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ტფილისის ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განიხილა, ტაბლიაშვილი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლებაუპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით გაგზავნა. ტაბლიაშვილმა საქმე გადაიტანა პალატაში, სადაც იმას იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე თავ. ი ბარათაშვილი. პალატამ, ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც შეუცვლელად დაამტკიცა ოლქი სასამართლოს განაჩენი.

II

### ქურდობა

ამავე დღეში პალატაში გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქეთა ალექსანდრე იუზბაშევისა, ვასილ დარიბოვისა, ერმალოზ ასათიანისა, ოჯანეზ სიმონიანცისა, მიხეილ კობახიძისა, ნიკოლოზ და სუმბათ ფრანგულიანცებისა და მუშადი შეხტი ბეგ სოიუნ-ყული-ბეგ-ოღლისა. ასათიანსა, დარიბოვსა და იუზბაშევს ჰბრალდებათ მიხეილისა და ისარლოვის ქუჩის შესართავთან ვაჭრის მიხეილ გამაზოვის სავაჭრო მაღაზიის გაქურდვა, სიმონიანცს—ქურდების დახმარება, კობახიძეს—ბოროტ მოქმედება პოლიციას არ შეატყობინა, თუმცა იცოდა, ფრანგულიანცებს—მოპარული ნივთების შენახვა, და ყული-ბეგ-ოღლის—ნაქურდალ ნივთების შეძენა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო იუზბაშევი, დარიბოვი, ასათიანი, სუმბათ ფრანგულიანცი და ოჯანეზ სიმონიანცი; პირველ სამს გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, იუზბაშევს—4 წლით, ასათიანსა და დარიბოვს $1/2$ წლით, ხოლო სიმონიანცსა და სუმბათ ფრანგულიანცს $1^1/_2$ წლით საპყრობილეში დაპატიმრება. ამათგან სამოსამართლო პალატაში განუსაჩივრებიათ ოლქის სასამართლოს განაჩენი ასათიანს, იუზბაშევს და სიმონიანცს. პალატამ, განიხილა რა ეს საქმე, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**28 ოქტომბერი**

**ვენა.** გერმანიის ელჩად ვენაში ეილენბურგის ნაცვლად დანიშნულ იქმნა ვედელი, რომელიც რომში იყო ელჩად.

**სევასტოპოლი.** მოულოდნელ საჯაროდ სასამართლოში იქმნა მოყვანილი განაჩენი კაპიტანის ბაბენკოს მკვლელების, ჯარის-კაცების სტეპანოვისა და ზემიანის დასჯის შესახებ.

**ვიატკა.** მაზრის ერობა შუამდგომლობს—ტელეფონით შეერთდეს საგუბერნიო და სამაზრო ერობანი.

**პეკინი.** გუბერნატორი იუნანი წინააღმდეგია იმ მოხელეთა სიკვდილით დასჯისა, რომელთაც ბრალი ედებათ ინგლისელ მისიონერთა მკვლელობაში. გუბერნატორის აზრით, სიკვდილის ნაცვლად იმათ ჯარიმა უნდა გადახდეთ. იმპერატრიცაც ამ აზრისაა. შეიძლება საქმე ხელ-ახლა განიხილონ.

**რომი.** კრეისერის „არნონეს" უფროსს 7 ყაჩაღი გადაეცა.

**რომი.** 20 ნოემბრისათვის ამზადებენ მასსოვაში ორ როტას. თუ საჭირო იქმნება, ამათ ზღვის ყაჩაღების წინააღმდეგ გაჰგზავნიან.

**პეტერბურგი.** ბაჟისა და სახაზინო სასმელების უმთავრეს გამგეობის შემოსავალი ნავარაუდევია 686,000,000 მან., ხოლო ხარჯი—211,500,000 მან.

**29 ოქტომბერი**

**ბარცელონა.** დაპატიმრებულთაც განაცხადეს, რომ განზრახული კარლისტთა აჯანყებაო. იარაღის მიმტანნი გამოტყდნენ, რომ ფული მივიღეთ იარაღის მიწოდებისათვისაო. გასჩხრიკავენ კარლისტთა სახლებს.

**სოფია.** უარჰყოფენ „ტაიმს"-ის ამბავს, ვითომ საბერძნეთის ელჩებს ვარნსა და ბურგასში თავს დაესხნენ და რამდენიმე ბერძენი მოჰკლესო.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის დესპანმა რომში მიიღო ინსტრუქცია იტალიასთან იმ დავის გადასაწყვეტად, რომელიც ზღვის ავაზაკების გამო ასტყდა. იტალია თხოულობს, რომ იტალიის სამხედრო გემის დროშა ცნობილ იქმნას ოსმალთა წყლებში.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა გადასცა მეფეს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. საღამოთი კორტესთა კრება შეაჩერეს.

**კონსტანტინეპოლი.** მიდის ნავთ-სადგურის გამო მომხდარ ინციდენტს მალე მოაგვარებენ. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის წინადადება თითქმის სავსებით მიღებულ იქმნა. ვიდრე ოსმალეთი ვალდებულებას არ შეასრულებს, იტალიის გემები მიდიში დარჩებიან.

**ვიქტორია.** პრეზიდენტმა კასტრომ გაგზავნა უდიდ მხრივ ჯარი მტრის წინააღმდეგ, რათა გზა შეუკრას. თვითონ პრეზიდენტი კარაკასში წავიდა მართვა-გამგეობის მისაღებად.

**პეკინი.** მთავრობამ არ მიიღო პროტესტი გუბერნატორისა, რომელიც წინააღმდეგია დამნაშავეთა სიკვდილით დასჯისა. იუნანის მოხელენი თხოულობენ, რომ ინგლისის მოხელენი დაესწრნენ სასჯელს.

**კარაკასი.** კასტრო 3,000 კაცით ქალაქში შევიდა. მეამბოხენი, როგორც ამბობენ, დამარცხდნენ.

**სოფია.** საბრალმდებლო ოქმი როდოსლავოვისა, ივანჩოვისა და ტონჩევის წინააღმდეგ მზადაა. ისეთი მოქმედებაც ჰბრალდებათ, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება. სახელმწიფოს ღალატი აღარა ჰბრალდებათ.

**სოფია.** ცონჩევის სახლის წინ 3,000 კაცმა ურიალობა მოახდინა. დაადგინეს, ადრესი მიართვან ცონჩევს და ნადიმი გაუმართონ. ამბობენ, სამი მინისტრი აუცილებლად გადადგება თანამდებობიდანაო.

**ლონდონი.** პალატაში ჰამილტონმა აღნიშნა ინდოეთის ფინანსების საკეთილო მდგომარეობა და ის, რომ შემოსავალმა ხარჯს 1,700,000 გირვანქათი გადააჭარბა. შეიძლება საჭირო შეიქმნეს ინდოეთში ჯარის გამრავლება; ინგლისის პოლიტიკა არ შეცვლილა, იმას აგრესიული ხასიათი არა აქვს. ავღანის ემირის სიკვდილს არ დაურღვევია რუსეთთან დადებული ხელშეკრულებანიო.

**მიუნხენი.** პრინცმა-რეგენტმა სადილზე მიიწვია რუსეთის ელჩი გირსი, რომელიც აქედან მიდის, და უბოძა მიხეილის პირველ ხარისხის ორდენი.

**კონსტანტინეპოლი.** სერბიის ელჩი გრუიჩი ორის თვით წავიდა აქედან.

**რომი.** იტალია და ოსმალეთი შეთანხმდნენ წითელ ზღვაში მომხდარ ყაჩაღობის საქმის გამო. ოსმალეთმა უნდა გააუქმოს ან გადასცეს იტალიას კუნძულ მიდის ავაზაკთა გემები; პორტა ვალდებულია დასაჯოს ოსმალეთის ქვეშევრდომი ავაზაკები; ის ავაზაკები, რომელნიც ერიტრეიდან არიან, ოსმალეთმა უნდა გადასცეს მასსოვაში ორის თვის განმავლობაში. ერიტრეიელთა იალქნიან გემებს ოსმალეთმა ისეთივე უფლებანი უნდა მიანიჭოს, როგორიც შეღავათით მოსარგებლე ერების გემებსა აქვთ.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე-იმპერატორმა ნება დართო მთელს რუსეთში ხელის-მოწერა გაიმართოს პოლტავაში გოგოლის ძეგლის დასადგმად იმ დღისთვის, როდესაც გოგოლის დაბადებიდან ასი წელიწადი შესრულდება.—„პრავიტ. ვეს."-ი იუწყება, რომ ოდესაში 10-დან 27 ოქტომბრამდე ორი კაცი გახდა ავად შავის ჭირით და ორივე გარდაიცვალა. 23-დან 27-მდე არავინ გამხდარა ავად. სულ 27 ოქტომბრამდე ოდესაში ავად გახდა 49 კაცი, გარდაიცვალა 17, მორჩა 21, ქალაქის საავადმყოფოშია 11.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**


# გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

# განცხადებანი

## ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

## სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—38)

**ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი**

მიხეილის ქუჩაზე გოგიელოვის შენობაში ტარიელ დიმიტრის ძე

## გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—6)

# ცინკოგრაფია

**წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

# ელეოპატი შვედური ბალზამი

**პროვიზორის კინუნენისა.**

ეს საშუალება სასარგებლოა **თმის გასამაგრებლად და ქერთლის მოსასპობად.** დიდ-ძალი მოთხოვნა **ელეოპატისა** ამ 25 წლის (1877 წლიდან) განმავლობაში თავდებია ღირსებისა. **იყიდება ყველგან.**

ადრესი წერილებისათვის: С.-Петербургъ, Разъѣзжая, 13,—въ главный складъ ЭЛЕОПАТА, провизора Кинунена. (5—2)


Дозв. ценз. Тифлисъ, 29 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).